



F-171
1977

გაკანებათა და ინსტრუქციათა

კ რ ე ბ უ ლ ი

9-10

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამბეზბეიკი—მამბეზბეიკი

რედაქტორი ნ. ა. ფოფხაძე.
კორექტორი ლ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

შპსი 10 კპპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/I-73 წ. ანაწილის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,75

შეკვ. № 1392

უფ-03920

ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ხტაშპა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министерств Грузинской ССР, ул. Уш. Чхендзе № 19

საქართველოს სსრ ზანათლების სამინისტროს კოლეგიის
დ ე ზ ე ნ ი ლ ე ბ ა

საგამოცდო ისტრუქციის უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ

1977 წლის 14 სექტემბერი

8154-8
F-1

გასულ, 1976—1977 სასწავლო წელს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ჩატარებულმა ღონისძიებებმა ფართო გამოხატულება პპოვა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებულ გადასყვან და გამოსაშვებ გამოცდებში. სასწავლო წლის დამამთავრებელი ეტაპისათვის მზადება სკოლებმა და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, განათლების სამინისტროს მითითების შესა ამისად, დროულად დაიწყეს, განხორციელდა ღონისძიებანი, რათა გამოცდები ინსტრუქციის ზუსტი დაცვით ჩატარებულიყო. სკოლების უმრავლესობამ კარგად გაიგო ის სიახლენი, რაც წელს პირველად განხორციელდა საგამოცდო პრაქტიკაში იგი კარგად იქნა გამოყენებული მოსწავლეთა და მათი მშობლებსა სწორი ორიენტირებისათვის.

მიუხედავად ამისა, განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლეს ხელმძღვანელებმა რიგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყვეს სა ანადო მომზადება, პედაგოგიური კოლექტივების მოტილიზაცია სკოლის ცხოვრებაში ამ უღრესად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი ღონისძიეს მალალორგანიზებულად განხორციელებისათვის.

მაუშმზადებლად, არაორგანიზებულად ჩატარდა გამოცდები აფხაზეთის ასსრ გაღის მე-4 (დირექტორი ამხ. მ. ასვანუა, თბილისის 29-ე (დირექტორი ამხ. ნ. ბულისკირია), 46-ე (დირექტორი ამხ. თ. ჩიხლაძე), 61-ე (დირექტორი ამხ. ლ. ჩხარტიშვილი), 62-ე (დირექტორი ამხ. რ. პირველი), 66-ე (დირექტორი ამხ. მ. მახარაძე), 108-ე (დირექტორი ამხ. ვ. პროხოლკო), 134-ე (დირექტორი ამხ. დ. გიორგაძე), სიღნაღის რაიონის ჯუგაანის (დირექტორი ამხ. ე. ბოლაშვილი) საშუალო სკოლებში. ადგილი პქონდა გადაწყერის, მოსწავ-

მინისტრის ს.ბ. საქ. სსრ
საგარეო საინჟინერო სამსახური

ლეთა ნამუშევრების ჩასწორების, მათი ცოდნის არაობიექტურად შეფასების შემთხვევებს.



უპასუხისმგებლოდ იმუშავეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა საგამოცდო კომისიებმა ახალქალაქის (გამგე ამხ. იაილახანიანი) ბოგდანოვკის (გამგე ამხ. პ. ვოსკანიანი), გეგეჭკორის (გამგე ამხ. შ. ცანავა), მახარაძის (გამგე ამხ. მ. ხავთასი), ცხაკაიას (გამგე ამხ. კ. შარტავა), ქ. ზუგდიდის (გამგე ამხ. კ. მიქაია, ჩოხატაურის (გამგე ამხ. მ. კეკელიძე) რაიონებში.

აღნიშნული ნაკლოვანებები მია უფრო აღმაშფოთებელი და დასანანი, რომ ყველა პირობა იყო შექმნილი წლებადელი გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის, განათლების სამინისტრომ დროულად განახორციელა საჭირო ღონისძიებანი, რომელსაც უნდა გამოერიცხა მსგავსი დარღვევები და ნაკლოვანებები. ამიტომ, მათი ასხნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სუბიექტური მიზეზებით, როგორცაა სკოლებისა და განათლების ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელებისა და მუშაკების სრული უპასუხისმგებლობა, დანაშაულებრივი გულგრილობა, უდისციპლინობა, ცალკეულ შემთხვევაში, არაკომპენტეტურობა.

საქარაველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია მკაცრად ვმობს რა სკოლის მუშაკთა უპასუხისმგებლობის, დანაშაულებრივი გულგრილობის, პირადი ეგოისტური დაინტერესების, პროტექციონიზმის გამოვლენებებს, საჭიროდ თვლის ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად რესპუბლიკის სახალხო განათლების თუთოეული ორგანოს, თითოეული მუშაკის დარაზმვას და

ა დ გ ე ნ ს

1. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა.

—ღრმად შეისწავლონ და დეტალურად გაანალიზონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შედეგები, მკაცრი მსჯელობა იქონიონ საგამოცდო ინსტრუქციისა და სხვა ორგანიზაციულ-მეთოდური ხასიათის მითითებების დარღვევათა წინააღმდეგ.

2. მასწავლებელმა, სკოლის დირექტორებმა, განათლების ორგანოთა მუშაკებმა და ხელმძღვანელებმა:

— მომავალში მკაცრად იხელმძღვანელონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ინსტრუქციით, ზუსტად განუხრებლად შეასრულონ მისი ყველა მოთხოვნა. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას იხელმძღვანელონ საბჭოთა პედაგოგის მაღალმორალური მოთხოვნებით, მტკიცედ დაიცვან ობიექტურობა, მკაცრად, შეურიგებლად ებრძოლონ ზერელობას მოსწავლეთა ცოდნაში, ლიბერალიზმს— შეფასებაში. ყველა ზომას მიმართონ, რათა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სუფევედეს ჯანსაღი, შემოქმედებითი შრომის ატმოსფერო. ყოველდღიური, შეუწყვეტელი შრომით მიაღწიონ იდეურ-პოლიტიკურ და თეორიული ცოდნის დონის ამაღლებას, პრაქტიკული პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფას.

3. აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. თბილისის და შემავალი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო კონტროლის დაწესება გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისადმი, რასაც შედეგად მოჰყვა ინსტრუქციის უხეში დარღვევის შემოხვევები.

საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის გაფრთხილებულ იქნა ვალის მე-4, თბილისის 29-ე, 37-ე, 62-ე, 66-ე, 108-ე და 134-ე საშუალო სკოლების დირექტორები: მ. ასვანთა, ნ. ბულისკირია, თ. ჩხლაძე, ლ. ჩხარტიშვილი, რ. პირველი, მ. მახარაძე ვ. პროხოდაკო, დ. გიორგაძე.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ ბორჯომის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მ. ლომიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

4. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყონ სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) და ინსპექციამ (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ო. ქიქლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს
ალკც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ ბუნების
დაცვის სახელმწიფო კონიტეტის კოლეგიისა და საქართველოს
ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური
საბჭოს პრეზდიუმის 1977 წლის 14 სექტემბრის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10 რესპუბლიკური შეკრების
შედეგებისა და მე-11 რესპუბლიკური შეკრების
ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს
ალკც ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ
ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია და საქართველოს
ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზდიუმში
აღნიშნავენ, რომ ბუნების ნორჩ დამცველთა მე-9 რესპუბლიკურმა
შეკრებამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას
მშობლიური ბუნების შესწავლისა და დაცვის საქმეში. გამოავლინა
დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის ფლორისა და ფაუნისადმი მზრუნვე-
ლობით დამოკიდებულება და მათი შენარჩუნებისათვის.

ორგანიზებულად ჩატარდა ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10
რესპუბლიკური შეკრება, რომელიც შეჯამდა ბ. ძნელაძის სახელობის
პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

შინაარსიანად ჩატარდა სასკოლო სატყეოების, მწვანე და ცის-
ფერი საგუშაგოების წევრთა შეჯამებული სხდომა.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10 რესპუბლიკურ შეკრებაზე
წარმოდგენილი ნამუშევრები, მოხსენებები, ნარკვევები, დიაგრამები,
ფოტო-ფირები, ალბომები, სასკოლო სატყეოების, მწვანე და ცისფერი
საგუშაგოების ამსახველი საინტერესო მასალები შეტყვევებს იმაზე,
რომ ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა ინტერესი ბუნების შეს-
წავლისა და დაცვისადმი.



შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, პოეტებმა, მწერლებმა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა და ბუნების კომპაგებმა.

შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის 67 ქალაქისა და რაიონის 8-წლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების ბუნების ნორჩმა დამცველებმა, სასკოლო სატყეოებმა, ცისფერმა და მწვანე საგუშაგოებმა.

აღსანიშნავია თერჯოლის, ახმეტის, მცხეთის ბორჯომის, გორის, გურჯაანის, ხაშურის, საგარეჯოს, გეგეჭკორის, ქარელის და სხვა რაიონების ნაყოფიერი მუშაობა.

საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს თბილისის 141-ე, 160-ე და 26-ე საშუალო სკოლებმა.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა ბუნების მეგობართა მე-7 ყრილობაში მონაწილეობისათვის; მან მოამზადა და გამოსცა ოცი სახის მეთოდური ბროშურა თითოეული დელეგატისათვის (400). მათ შორის აღსანიშნავია ბუნების მეგობართა მე-7 ყრილობის დელეგატის სამახსოვრო: „ცა ფირუჟ, ხმელეთ ზურმუხტო“, რისთვისაც ბიოლოგიის კაბინეტი დაჯილდოვდა ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

შეკრებაზე გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებებიც. კერძოდ, ფართოდ არ იყო წარმოდგენილი მთელი რიგი რაიონები. ჯერ კიდევ რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში არ არის ჩამოყალიბებული სასკოლო სატყეოები, მწვანე და ცისფერი საგუშაგოები. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა კომკავშირის და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობამ მომავალში მეტი ყმედითი დახმარება უნდა გაუწიონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესწავლის საქმეში,

შეკრებაში საერთოდ მონაწილეობა არ მიუღიათ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ა/ო და სვანეთის რაიონების სკოლებს.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური შეკრების მუშაობის შედეგები განზოგადდა თბილისში პიონერთა სასახლეების დირექტორ-

რების მოადგილეთა, საკავშირო სემინარზე და ქ. უფაში ნორჩ დამცველთა საკავშირო შეკრებაზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10 რესპუბლიკურ შეკრებაში წარმატებით მონაწილეობისათვის განათლების სამინისტროს სიგელ-ბით დაჯილდოვდეს ნორჩ დამცველთა 90 საგუშაგო (დანართი № 1).
2. ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს სამკერდე ნიშნით—„სახალხო განათლების წარჩინებული“ 7 მსწავლელები (დანართი № 2).
3. ჩატარდეს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრება 1977 წლის 7—8 და 9 ოქტომბერს თბილისში ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე.
4. დამტკიცდეს ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების დებულება (დანართი № 3).
5. დამტკიცდეს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრების დებულება (დანართი № 4).
6. ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი № 5)
7. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს უზრუნველყოს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრების სექციების; სასკოლო სატყეოების, მწვანე, ცისფერი საგუშაგოებისა და ფენოლოგთა სექციური მუშაობა შესაბამის ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში. ამასთანავე დამტკიცდეს ცალკეული სექციების მუშაობის თემატიკა (დანართი № 6).
8. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტს უზრუნველყოს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკურ შეკრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-მეთოდური საკითხების მოგვარება.
9. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს ბუნე-

ბის ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ა) ფართოდ გაშალოს პროპაგანდა მოსწავლეთა შორის ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის.

ბ) ჩაატაროს ლექცია-საუბრები ბუნების დაცვის ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად და უზრუნველყოს შესაფერისი კინოფილმების დემონსტრირების ორგანიზაცია.

გ) ხელი შეუწყოს ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებებს და მათ სექციებს: სასკოლო სატყეოებს, მწვანე და ცისფერ საგუშაგოებს, ფენოლოგებს მუშაობის უკეთ წარმართვაში და საჭიროების შემთხვევაში, ნერგებით და თესვებით მომარაგებაში აღმოუჩინოს სათანადო დახმარება.

10. ბუნების დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის და საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის სასკოლო სატყეოებიდან და საგუშაგოებიდან შეირჩეს საუკეთესო კოლექტივები და დაჯილდოვდნენ სასწავლო ექსკურსიებით ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ფლორისა და ფაუნის გაცნობისა და შესწავლის მიზნით.

11. ? . ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის ხელმძღვანელობით მოეწყოს ექსპედიცია კავშირის მასშტაბით, რესპუბლიკის სკოლებიდან ბუნების ნორჩ დამცველთა მონაწილეობით.

12. რესპუბლიკის ბუნების ნორჩ დამცველთათვის ბუნების დაცვის საკითხზე შედგეს სათანადო მეთოდური ლიტერატურა ბროშურებისა და პლაკატების სახით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი და სასწავლო საგნების სტრუქტურა, ბუნების ნორჩ დამცველებს უნდა ვაგვაგებინოთ, რომ ბუნების დაცვის პრობლემების სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა არა მარტო აღწერონ ბუნების მოვლენები და ფაქტები ბუნებასა და ადამიანის შემოქმედებას შორის წარმოშობილ წინააღმდეგობებზე, არამედ გააანალიზონ და გაარკვიონ მიზეზი არსებული წინააღმდეგობებისა.

მეთოდური მასალები უნდა დაიბეჭდოს ზემდგომი ორგანოების დახმარებით.

13. ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ უზრუნველყოს რესპუბლიკის ბუნების ნორჩ დამცველთა მასობრივი ჩაბმა მე-11 რესპუბლიკურ შეკრებაში, შეირჩეს საუკეთესო ნამუშევ-



რები ბუნების დაცვის სწავლების მსოფლიო კონფერენციისათვის რომელიც ტარდება 1977 წლის 14—26 ოქტომბერს თბილისში.

14. ჩამოყალიბონ რესპუბლიკის საშუალო და 8-წლიან სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, იქ სადაც არ არის ჩამოყალიბებულ სასკოლო სატყეოები, მწვანე და ცისფერი საგუშაგოები და უზრუნველყონ მათი მუშაობის ფართოდ გაშლა.

15. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯები გაილოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. თ. ჟღენტი (დანართი № 7).

16. გაზეთების; „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „ნორჩი ლენინელის“, „გაზაფხულის“, და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრება“ რედაქციებმა გამოაქვეყნონ ბუნების ნორჩ დამცველთა სექციების საქმიანობის ამსახველი მასალები.

17. განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. მ. ოჩივაჯა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. რ. ღარიბაშვილი) დააწესონ კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

ო. ჭინჭლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

უ. შარტავა

საქართველო ბუნების დაცვის სა-
ზოგადოების რესპუბლიკური საბ-
ჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. გელდიაშვილი

საქართველოს სსრ ბუნების
დაცვის სახელმწიფო კომი-
ტეტის თავმჯდომარე

მ. კაჭარავა

დანართი № 1

ბუნების შესწავლასა და დაცვაში წარმატების მოპოვებისათვის,
ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10 რესპუბლიკურ შეკრებაზე
საუკეთესო კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის
დაჯილდოვებული მწვანე, ცისფერი საგუშაგოების
და სასკოლო სატყეოების

ს ი ა

მ წ ვ ა ნ ე ს ა გ უ შ ა გ ო

1. აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის საშუალო სკოლა
2. ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლა
3. ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის საშუალო სკოლა
4. ახალციხის პირველი საშუალო სკოლა
5. ახმეტის მე-2 საშუალო სკოლა
6. ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშუალო სკოლა
7. გაღის რაიონის სოფელ ზემო ბარდების საშუალო სკოლა
8. გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატი
9. გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლა
10. გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხანდრაოს საშუალო

სკოლა

11. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის საშუალო სკოლა
12. გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლა
13. გორის რაიონის სოფელ ტყვიავის საშუალო სკოლა
14. გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის საშუალო სკოლა
15. გორის რაიონის სოფელ ტირძნის საშუალო სკოლა
16. ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკოურის საშუალო

სკოლა

17. ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტის საშუალო სკოლა
18. თელავის 1-ლი საშუალო სკოლა

19. თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს

სკოლა

20. თიანეთის საშუალო სკოლა
21. თიანეთის სკოლა-ინტერნატი
22. თბილისის 140-ე საშუალო სკოლა
23. თბილისის 126-ე საშუალო სკოლა
24. თბილისის 110-ე საშუალო სკოლა
25. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა
26. თბილისის მე-15 საშუალო სკოლა
27. თბილისის 144-ე საშუალო სკოლა
28. თბილისის 73-ე საშუალო სკოლა
29. თბილისის 74-ე საშუალო სკოლა
30. თბილისის 150-ე საშუალო სკოლა
31. კასპის რაიონის სოფელ მეტეხის საშუალო სკოლა
32. ლენტეხის საშუალო სკოლა
33. ლენინგორის პირველი საშუალო სკოლა
34. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურჯვეთის საშუალო სკოლა
35. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის რვაწლიანი სკოლა
36. მესტიის რაიონის სოფელ მულახბის საშუალო სკოლა
37. მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლა
37. მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წიაღლისხევის საშუალო

სკოლა

39. ონის რაიონის სოფელ პიპილეთის საშუალო სკოლა
40. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა
41. სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს საშუალო სკოლა
42. საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლა
43. საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარაქელის საშუალო

სკოლა

44. სიღნაღის საშუალო სკოლა
45. ტყებულის რაიონის სოფელ გელათის 8-წლიანი სკოლა
46. თელავის რაიონის სოფელ ფშავლის საშუალო სკოლა
47. ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლა
48. ჩოხატაურის მე-4 საშუალო სკოლა
49. ქარელის რაიონის სოფელ ქვემო ხვედურეთის 8-წლიანი

სკოლა

50. ქარელის რაიონის სოფელ წილკანის საშუალო სკოლა
51. ცაგერის საშუალო სკოლა

52. ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლა
53. ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა
54. ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის საშუალო სკოლა
55. წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის საშუალო

სკოლა

56. წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვენის 8-წლიანი სკოლა
57. წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორის 8-წლიანი

სკოლა

58. სიღნაღის რაიონის წნორის პირველი საშუალო სკოლა

46 ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლა

60. სოხუმის მე-20 საშუალო სკოლა

61. ახალციხის რაიონის პიონერთა სახლი

62. აღიგენის რაიონის პიონერთა სახლი

63. გორის რაიონის პიონერთა სახლი

64. ზუგდიდის რაიონის პიონერთა სახლი

65. მაიაკოვსკის რაიონის პიონერთა სახლი

66. ფოთის პიონერთა სახლი

67. ჩხოროწყუს რაიონის პიონერთა სახლი

68. წყალტუბოს რაიონის პიონერთა სახლი

69. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური

70. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტი

ციხფერი საგუშაგო

71. გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლა

72. თბილისის 112-ე საშუალო სკოლა

73. რუსთავის მე-20 საშუალო სკოლა

74. მარნეულის რაიონის სოფელ კაპანახინსკის საშუალო

სკოლა

სასკოლო სატყეო

75. თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების საშუალო სკოლა

76. თბილისის 190-ე საშუალო სკოლა

77. ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლა

78. წყნეთის 147-ე საშუალო სკოლა

79. დმანისის რაიონის განთიადის საშუალო სკოლა

ბუნების შესწავლისა და დაცვის საქმეში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10 რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ დასაჯილდოებელ მასწავლებელთა სია

1. გურგენიძე ელენე იასონის ასული—თბილისის 126-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
2. ჭანტურია ცაალა ევტიხისასული—თბილისის 1-ლი მაისის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი-ბიოლოგი
3. ფერაძე ლეილა პავლეს ასული—თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
4. რუსიაშვილი ლამარა ნიკოლოზის ასული—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგი-ბიოლოგი
5. ჯანაშვილი არჩილ გაბრიელის ძე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ხერხემლიანი ზოოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი
6. ცხაკაია ქსენია ევრემის ასული—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი
7. ბაკურაძე ანა პავლეს ასული—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლის პედაგოგი

დანართი № 3

**ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების
დებულება**

დიდი ოქტობრის სოციალისტურმა რევოლუციამ საბჭოთა ხალხს ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში ფართო გასაქანი მისცა, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მატერიალური კულტურის დონის ამაღლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ჩვენი ქვეყანა სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემებს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1917 წლის 26 ოქტომბერს მიღებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დოკუმენტი „დეკრეტი მიწის შესახებ“.

1918 წ. დამტკიცდა „ძირითადი კანონი ტყის შესახებ“, სადაც ტყეების დაცვასთან ერთად აღნიშნული იყო ქარებისა და წყლის ეროზიებისაგან მიწების მოვლა, წყლის რეჟიმის რეგულირების და მდინარეების ნაპირების დაცვა და კლიმატის გაუმჯობესების საკითხები.

ლენინური იდეები საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირში ბუნების დაცვის საგანმანათლებლო განვითარების საქმეს.

დღეს ჩვენი პარტია და მთავრობა დაუღალავ ყურადღებას აქცევს ბუნების დაცვის პრობლემებს. ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივი გარემოს დაცვა (ბუნების დაცვა) სახელმწიფოს უდიდესი სოციალური და ეკონომიური ამოცანაა.

კონსტიტუციის პროექტში (ძირითადი კანონის) აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებას, დაიცვას მისი სიმდიდრე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიმართ მიითვლება: საბჭოთა კავშირის მომავალი თაობის ნამდვილ ინტერესად მიღებულია ბუნების დაცვის გადაუდებელი საშუალებები. მი-



წების რაციონალიზად გამოყენების მეცნიერული დასაბუთებანი, მიწა, როგორც ცხოველთა და მცენარეთა საშყაროს საფუძველი, და წყლის სისუფთავის შენარჩუნება, ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება და ადამიანის გარემომცველი გარემოს გაუმჯობესება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის დადგენილება „ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ“ და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 მარტის № 219 დადგენილების „რესპუბლიკაში ბუნების დაცვის სწავლების შესახებ“ სკკპ და საქართველოს კვ 25 ყრილობების გადაწყვეტილებების შუქზე, ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება მნიშვნელოვან ამოცანებს სახავს რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე მშობლიური ბუნების შესწავლისა და დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოების ნიჟნეი და ამოცანები

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებს ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვაში; სასარგებლო ფაუნის გამრავლებით და მცენარეული საფარის (ტყეების, მდელოების, ველებისა და მწვანე ნარგავების) მოვლა-პატრონობით. ატმოსფერული და წყლის რესურსების, წყლის მიერ და ქარის მიერ ეროზიისაგან ნიადაგის, მდინარეების, მიწისქვეშა წყლების, წყალსატევების ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლების დაცვათ.

საზოგადოების ამოცანაა ჩაუწიოს პიონერებსა და მოსწავლეებს ჩვენი ქვეყნის ფლორისა და ფაუნისადმი დიდი სიყვარული, გამოუმუშაოს მზრუნველობითი დამოკიდებულება და მათი შენარჩუნებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

გაუფართოვოს მოსწავლეებს ცოდნის დონე ბუნებაზე, რომ ჩამოუყალიბდეთ მთელი რიგი კონკრეტული და ფართო შეხედულებები ცოცხალ და არაცოცხალ ბუნების მოვლენებზე.

ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების ძირითადი მიზანია ჩამოუყალიბოთ მოზარდ თაობას კულტურა ბუნებრივი გარემოს დამოკიდებულებისადმი, რომელიც დამყარებულია კომუნისტური საზოგადოების მორალურ პრინციპებზე.



ბუნების ნორმ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება აწ-
 ყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის მასობრივ მოძრაობას ბუნების დაც-
 ვისა და მისი გამდიდრებისათვის. ამ მიზნით საზოგადოებამ ინიცია-
 ტივა აღიღო და აქტიური მონაწილეობა მიიღო:

ა) ბუნების დაცვის საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტუ-
 რი პარტიის პროგრამის დებულების, პარტიისა და მთავრობის გადა-
 წყვეტილებების, საქართველოს სსრ-ში ბრძნების დაცვის კანონის, სა-
 ზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდაში.

ბ) მიიზიდა და მასობრივად ჩააბა მოსწავლე-ახალგაზრდობა
 ბუნების დაცვის საზოგადოების მუშაობაში, მშობლიური ბუნების
 შესწავლაში, ბუნებისადმი სიყვარულისა და მისი სიმდიდრეებისადმი
 გულ ისხმიერ დამოკიდებულებაში.

გ) მოსწავლე-ახალგაზრდობას შესწავლა თავისი ადგილმდებ-
 რეობის ფლორის, ფაუნის გამდიდრებისა და დაცვის რაციონალურად
 გამოყენებისათვის ძვირფას სახეობათა მცენარეების გამოყვანა და
 დავრცელება.

დ) სათანადო ორგანოებსა და საწარმოებთან ერთად ნიადაგის
 ეროზიის წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიებებში ტყის ქრის უნე-
 ბარ ევოდ და ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ე) აქტიური მონაწილეობა მიიღო ბუნების დაცვის ნებაყოფ-
 ლობითი საზოგადოების მიერ მოწყობილ „ტყის ერთგვიანების“ და
 „ბაღის ერთგვიანების“ ღონისძიებებში.

ვ) ბუნების ნორმ დამცველთა საზოგადოება ატარებს „ფრინ-
 ველთა დღეებს“ მგალობელ და დეკორატიულ ფრინველთა სააკვარი-
 უმე თევზების, კაკტუსების და დეკორატიულ ყვავილათა თიგულების
 კონკურსებს.

ზ) აწყობს სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნე-
 ბის დაცვის საკითხებზე გამოფენებს, კუთხეებს.

ი) აქტიურ მონაწილეობას იღებს ტყეების, მწვანე ნარგავების
 დაცვაში, მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარ, სახელმწიფო და
 საკოლმეურნეო თავისუფლ მიწებზე ტყის გაშენების ორგანიზაციაში.

ი) ემზადება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ხე-
 ხილ-კენკროვან მცენარეთა ნარგავების დარგვაში და ახორციელებს
 თავის მუშაობას დევიზით: „დავრგოთ და გავახაროთ ყოველწლიურად
 1—2 ხე მოსახლეობის თითოეულ სულზე, დავიცვათ და ვამრავლოთ
 ბუნების სიმდიდრენი“.

საზოგადოება აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას თავის წევ-

ქ. შარტავის სოხ. საქ. სსრ



რებსა და კოლექტივებს შორის ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის და ადგენს ბუნების დაცვის ნებაყოფლობის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდენტის წინაშე დასაჯილდოებლად იმ კოლექტივებს და წევრებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამ შეჯიბრებაში.

ფაუნის (ნადირთა და ფრინველთა) სასარგებლო და ძვირფას სახეობათა დაცვისა და მათი ხელოვნური გამრავლებისათვის ხელისშეწყობის მიზნით ამზადებს ზამთრისათვის ფრინველთა საკვებურებს, ნაკრძალებში ცხოველებისათვის სამარილევებს და გაზაფხულზე ფრინველთა ბუდეებს.

მონაწილეობას იღებს ტბა-მდინარეთა წყალსატევებში თევზის მარაგის გადიდების ღონისძიებათა განხორციელებაში, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლების დაცვის ღონისძიებებში.

აქტიურ მონაწილეობას იღებს მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნაში, სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების, სასოფლო გზებისა და სატყეო არხების გაყოლებით დამცავ ტყის ნარგავობათა მოწყობაში.

გატყეებისა და გამწვანების სამუშაოებისათვის, მინდორსაცავი ზოლების მოწყობისათვის სასკოლო-სანერგეთა გაშენებაში სარგავი მასალის გამოსაყვანად.

საზოგადოება ერევა ბუნების დაცვის იდეებისა და მისი მნიშვნელობის ფართო პროპაგანდას პრესის, რადიოს, კინოს და ტელევიზიის საშუალებით.

ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ბუნების მოყვარულთა ლექტორიუმი „ბუნების კარი“, რომლის საშუალებითაც აწყობს გონივრულ სახალისო ვართობა თამაშობებს, ატარებს ლექცია-საუბრებს პოპულარული სამეცნიერო ხასიათის კინო-ფილმების დემონსტრირებით მუშავდება მეთოდური ხასიათის ბროშურები.

სისტემატურად ატარებს ბუნების დამცველთა, სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ შეკრებებს, კონკურსებს, კონფერენციებს, სახალისო დილა-სადამოებს. ა/კ მოძმე რესპუბლიკების სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ ბუნების მოყვარულთა დაუსწრებელ კონკურსს საუკეთესო ჰერბარიუმზე, ენტომოლოგიურ კოლექციებზე და ბუნების მასალებისაგან მხატვრულ ნაკეთობებზე.

მრავალ სკოლაში მუშაობს სასკოლო სატყეოები, მწვანე და ცისფერი საგუშაგოები, ნორჩ ნატურალისტთა წრეები. ბუნების ნორჩ დამცველთა კლუბები, ეწყობა შრომისა და დასვენების ბანაკები, ექსპედიციები და ლაშქრობები ბუნებაში.

სკოლებში ეწყობა ბუნების საოცრებათა და ბუნების დაცვის კუთხეები, სადაც ექსპონირებულია მხარისა და რაიონის იშვიათი ნარევათა ჰერბარიუმები და ცხოველთა ფიტულები, ბუნების მოვლენათა ამსახველი ფოტოები.

ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოება აცნობს მოსწავლეებს, საქართველოს ფლორის, ფაუნის და ეკოსისტემის სხვა ფიოფელური ელემენტების გაჭუჭყიანებისაგან დაცვისა და გაჯანსაღების ღონისძიებების საკითხებს. ყურადღებას აქცევს სკოლებში, სადაც ატარებენ გამწვანების სამუშაოებს, არ დაირვოს არასტანდარტული და მოცემული გარემო პირობებისათვის შეუფუებელი ჯიშების ნერგები.

საზოგადოება ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის გამდიდრების და დაცვის საქმეში, აწარმოებს ძვირფას სახეობათა მცენარეების გამოყვანას და გავრცელებას.

სწავლობს ბიოლოგიის კავშირს სხვადასხვა მეცნიერებებთან, დემოგრაფიასთან, ფიზიკასთან, ქიმიასთან, მათემატიკასთან, ასტრონომიასთან და ტექნიკის სხვადასხვა დარგებთან.

ყურადღებას ამახვილებს ბუნებაში არსებული წონასწორობის დაცვის მნიშვნელობაზე, რათა აღარ განმეორდეს ახლო წარსულში სოცლის მეურნეობისათვის მავნე ფრინველების წინააღმდეგ ისეთი ლაშქრობა, რომლის დროსაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ბუნების წიაღში შლიდა და ანადგურებდა ჩიტის ბუდეებს, ყლუტდა მათ და ა. შ.

ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოება განუმარტავს მოსწავლე-ახალგაზრდობას, საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას ბუნების და მისი სიმდიდრის დაცვის საქმეში, აცნობს სახელმწიფო საკანონმდებლო კანონებს ბუნების დაცვის შესახებ და „საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონი“—ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და მის სიმდიდრეთა დაცვის საქმეში მოსწავლეთა მასობრივი ჩაბმის შესახებ, საზოგადოება მეთოდურ დახმარებას გაუწევს სკოლებს, რათა გაშალოს სათანადო მუშაობა მარტივი ტიპის სათბურებში, კვლასათბურებში და სანერგეებში მწვანე ნარგავების გამოყვანისათვის და ბაზის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბიოლოგიურ კუთხეებში საინტერესო მუშაობის გაშლის საქმეს—დამოუკიდებლად ცდა-დაკვირვებების ჩატარებას ცხოველებზე და პრაქტიკული მუშაობის ჩვევების გამომუშავებას.

საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს



სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა კონსულტაციის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის დადგენილების განხორციელებაში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის შესახებ.

„უახლოეს ხანში ყოველი დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ეხო-გარემო სანიმუშოდ იქნას გამწვანებული ისეთი მცენარეული საუბარით, რაც არსებულ გარემოს შეეფერება, შეეგუება და ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველი იქნება“.

საზოგადოება უხელმძღვანელებს სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, იქ სადაც შექმნილია სასკოლო სატყეოები, ცისფერი და მწვანე საუშაგოები, სისტემატურად განხორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები და კონტროლი სკოლის მახლობლად არსებულ წყალსატევების, მდინარეების, ზღვის სანაპირო ზონებისა და ტყეების დასაცავად. ჩაატარეს საუბრებს მოსახლეობაში ბუნების დაცვის საკითხებზე.

კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან ერთად, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჩაატარეს „ფრინველთა დღეს“ „ტყის კვირეულს“ და „ყვავილების დღესაწაულს“.

კლასგარეშე მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა სამკურნალო მცენარეების გამოვლინებას. მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებებითი რესპუბლიკური კონფერენციის მუშაობაში ცალკე გამოიყო სამკურნალო მცენარეთა შემსწავლელი სექცია. რესპუბლიკის მოსწავლეებმა აქ წარმოადგინეს სამკურნალო მცენარეები მცენარეთა სახელწოდებების და სამკურნალო მცენარეთა ხალხურ მედიცინაში გამოყენების თანდართვით.

დაგროვილი მდიდარი მასალის საფუძველზე საზოგადოებას განზრახული აქვს აკად. ნ. კეცხოველის რედაქტორობით გამოსცეს სამკურნალო მცენარეთა ლექსიკონი.

საზოგადოება ყურადღებას გაამახვილებს ხეებისა და ბუჩქების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლაზე, გეოგრაფიული ზონის მცენარეთა გამოვლენაზე. ამ ხეებისა და ბუჩქების თესვების შეგროვებაზე. ამ მიზნით მოაწყობს ბუნებაში ექსკურსიებს, ლაშქრობებს, მათი შედეგების განზოგადებას და პიონერთა საზაფხულო ბანაკების ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის შეჯამებას.

საზოგადოებები ადგილეთაზე ახდენენ დასახლებული ადგილების გასამწვანებლად დეკორატიული მცენარეების თესვებისა და სამკურნა-



ლო მცენარეთა-შეგროვებას, საათთაქო დაწესებულებების, გამწვანებისა და სატყეოების მოთხოვნების საფუძველზე, ასევე ფილოქსერა გამძლე საძირე ვაზის გამოყვანა-გამრავლებას.

საზოგადოება კონსულტაციას გაუწევს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებს და სკოლისგარეშე დაწესებულებების ეზო-ვარემოს გამწვანებასთან განაშენიანების საქმეში და დააკავშირებს მათ შესაფერის ორგანიზაციებთან.

სისტემატურ მეთოდურ დახმარებას და კონსულტაციებს გაუწევს სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, სკოლისგარეშე დაწესებულებებს კონკურსში მონაწილეობისათვის—„ენ უკეთ გამწვანებს და გაალმაზებს თავისი სკოლისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების შემოგავარენს“.

ამ მიზნით შეიმუშავენ მეთოდურ რეკომენდაციებს და მიითებებს სკოლაში მწვანე ნარგავების მოვლა-გაშენების, ბიოლოგიური კუთხეების მოწყობა-გამოყენების შესახებ.

მომზადებს გამოსაცემად ბროშურებს ბუნების დაცვისა და ბუნების შესწავლის საკითხებზე და წლის ოთხ დროსთან დაკავშირებით შეადგენს ბუნების ნორჩ დამცველთა სამახსოვროს სახელწოდებით: „ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტო“. აღძრავს შუადგომლობას განათლების სამინისტროს წინაშე ამ ბროშურებისა და მეთოდური მასალების დასაბეჭდად.

საზოგადოება აღძრავს შუადგომლობას შესაბამისი ორგანოების წინაშე მოსწავლეთა ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით სასოფლო-სააეურნეო შრომითი იარაღების დამზადების შესახებ, რაც დიდად შეუწყობს ხელს შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის დანერგვას.

საზოგადოება ბუნების დაცვის საკითხებზე ჩაატარებს მასწავლებელთა სარაიონო, საქალაქო და ზონალურ თანობირ-სემინარებს და ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებების, სახკოლო სატყეოების, მწვანე და ცისფერი საგუშაგოების—საოლქო, საქალაქო და სარაიონო შეკრებებს.

საზოგადოება ეურნალ „საქართველოს ბუნება“-ში რუმბრიკით „ჩვენ ვეზმარებით სკოლას“ და გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე სისტემატურად გააშუქებს მასალებს ბუნების დაცვის საკითხებზე სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დასახმარებლად.



ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება ნებაყოფლობითი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი მოწოდებულია მასობრივად ჩააბას რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობა მშობლიური ბუნების შესწავლის საქმეში და მონაწილეობა მიიღოს ბუნებრივი სიმიდრეების დაცვის, გონივრული გამოყენების საქმეში. პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების განხორციელებაში.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება ექვემდებარება საქ. სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ პრეზიდიუმს.

რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატესა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების ნორჩ დამცველთა მუშაობას ხელმძღვანელობს ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება, რომელიც შეიქმნა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის ბაზაზე.

რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატესა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში. პიონერთა სასახლეებსა და სახლებში სახლმართველოებთან შექმნილია ბუნების დამცველთა საზოგადოებები.

სასკოლო საზოგადოებები აერთიანებენ სასკოლო სატყეოებს, მწვანე და ცისფერ საგუშაგოებს. ერთიანდებიან სარაიონო და შემდეგ საქალაქო საზოგადოებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პიონერთა სახლის ნორჩ დამცველთა საზოგადოება, იქ სადაც პიონერთა სასახლეებია, საქალაქო საზოგადოებები ერთიანდებიან საოლქო საზოგადოებებში, რომელსაც ადგილობრივ პიონერთა სასახლეები ხელმძღვანელობენ.

ამ საზოგადოებების მუშაობას ხელმძღვანელობენ განათლების განყოფილებები და რაიონული აღმასკომის საბჭოები.

თითოეულ საზოგადოებას ხელმძღვანელობს მოსწავლეთა საბჭო და უფროს მეგობართა საბჭო ცალ-ცალკე.

მოსწავლეთა საბჭო განისაზღვრება 15 კაცის შემადგენლობით, უფროს მეგობართა საბჭო კი 18 კაცის შემადგენლობით.

მოსწავლეთა საბჭოს ამტკიცებენ სკოლის, სკოლა-ინტერნატის ან სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორები პელსაბჭოზე,

კომკავშირის სასკოლო კომიტეტისა და პიონერული რაზმეულის საბჭოს მონაწილეობით.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია ირჩევს საბჭოს შემადგენლობას თავმჯდომარესა და მდივანს საერთო კრებაზე ორი წლის ვადით.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება აერთიანებს სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებულ ნორჩ დამცველთა საზოგადოებას ნორჩ დამცველთა საზოგადოება კი აერთიანებს სასკოლო სატყეოებს, მწვანე და ცისფერ საგუშაგოებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების მუშაობას წარმართავს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კომიტეტთან არსებული ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო 15 მოსწავლის მონაწილეობით. აქვე მუშაობს ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოების უფროს მეგობართა რესპუბლიკური საპატიო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებების უფროს მეგობართა საბჭოების მუშაობას.

უფროს მეგობართა რესპუბლიკური საპატიო საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 18 კაცის ოდენობით.

ბუნების ნორჩ დამცველთა უფროს მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი აკად. ე. ზ. გულისაშვილი.

ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოების წევრებად მიიღებიან ბუნების დაცვით დაინტერესებული მე-4-10 კლასის მოსწავლეები, როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური წესით.

სასკოლო საზოგადოების მოსწავლეთა საბჭოს და ადგილობრივი სექციების (სასკოლო სატყეო, ცისფერი და მწვანე საგუშაგოები) ხელმძღვანელებად აირჩევიან ბუნების დაცვით დაინტერესებული მოსწავლეები.

ბუნების ნორჩ დამცველთა ადგილობრივი საზოგადოებები კავშირს ამყარებენ ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკურ საზოგადოებასთან და უზახანთან მას ცნობებს საბჭოებისა და სექციების მუშაობის შესახებ.



ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოების საუფძველს წარმოადგენს მისი პირველადი ორგანიზაციების საზოგადოებები და საბჭოები.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის (სასკოლო) საბჭოს ეკისრება საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების მოწვევა, სასკოლო სატყეოს, მწვანე და ცისფერი საგუშაგოს ხელმძღვანელობა. ანგარიშების, საჭირო ცნობების და მასალების წარდგენა რაიონულ (საქალაქო, სადაბო) საზოგადოებაში პირველადი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

სასკოლო საზოგადოებებში საბჭო საზოგადოების წევრი მოწაფეებიდან დაწყებული მეოთხე კლასიდან, გამოყოფა, კლასების მიხედვით ბუნების დაცვის რწმუნებულებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას, საზოგადოების წევრთა სიები უნდა შედგეს კლასების მიხედვით საბჭო უზრუნველყოფს სამუშაო გეგმის, პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებების და დადგენილებების შესრულების, აწარმოებს პირველადი საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობისა და საბჭოს სხდომათა ოქმებს, ადგენს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ და შემდგომში წარუდგენს რესპუბლიკურ საზოგადოებას დადგენილ ვადაში, ეხმარება ზემდგომი ბუნების დაცვს საზოგადოებებს საწევრო ანარიცხების დროულად შეგროვებაში.

პირველადი ორგანიზაციის საბჭო თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებს საზოგადოების წევრთა საერთო კრებას. პირველადი საზოგადოების საბჭოებს უფლება აქვთ რესპუბლიკის საზოგადოებას დასაჯილდოებლად წარმოუდგინონ სია იმ აქტივისტებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბუნების დაცვის საქმეში.

ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებები ყოველი წლის ოქტომბერში აჯამებენ საზოგადოებების სექციების მიერ ჩატარებული შედეგებს და უგზავნიან ცნობებს რესპუბლიკურ საზოგადოებას, ატარებენ ადგილებზე შეკრებებს და წახალისების მიზნით აჯილდოებენ საუკეთესო მიტწვევების მქონე საზოგადოებებს წევრებს სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

რესპუბლიკური საზოგადოება აწარმოებს თავისი მუშაობის მატანეს. ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით მატანეში ჩაიწერება გვარები იმ მოსწავლეებისა, რომლებიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწევენ მუშაობაში.

ბუნების დაცვის საქმეში და რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ბუნების ნორჩ დამცველები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს

აღკვეთს და ბუნების დაცვის შესაბამისი დაწესებულებების მიერ
საპატიო დიპლომებით, სიგელებით და, ზოგიერთი მათგანი, არტეფაქტის
საგზურით,

ბუნების ნორმ დაცვით საზოგადოების წევრთა მოვალეობა

ბუნების ნორმ მეგობართა საზოგადოების წევრებს ევალებათ:
უტყეო ფერდობების, გზატყეცილებისა და სასოფლო გზების
ნაპირებზე ტყის ჯიშების, ხეხილოვანი კულტურის გაშენება, წიწვო-
ვანი და ფოთლოვანი ტყეების დაცვა.

სკოლისა და საკარმიდამო ეზოების გამწვანება და ნარგავთა
გახარება.

სასარგელო ფრინველების მოზიდვა და გამრავლება, ზამთარში
დარჩენილი ფრინველებისათვის საკვებურების მოწყობა და მათი დაც-
ვა. მათ გამოსაკვებად ველურ მცენარეთა ნაყოფის (კუნელი, კინჩ-
ხი, პიტნა, ველურ და კულტურულ მცენარეთა თესლები და სხვ.)
შეგროვება.

ნიადაგის დახრილ და ჩამორეცხილ ადგილებში—ხრამებში ხე-
ეგსა და ფერდობებზე (აჭარა, აფხაზეთი, ზემო ლეჩხუმი, სამგორის
მიდამოები, ვლანის ქედი, ახალციხის ქვაბულები აღმოსავლეთ სა-
ქარაველოში—ატენის ხეობა და სხვ.) შესაფერისი მცენარეების გა-
ხარება, ქარის მიერ ფხვიერი ნოყიერი მიწის დაზიანების წინააღმდეგ
ბრძოლის საქმეში, ქარსაფარი ზოლების გაშენებასა და კულტურულ
მცენარეთა სესვაში, კოლმეურნეობებსა და წაპრობა მეურნეობაში
სუბტროპიკული კულტურების, ხეხილის ბაღებისა და ყვავილოვანი
მცენარეების გაშენებასა და მოვლაში მონაწილეობა.

ბოლოტოში, გეოგრაფიასა და სხვა საგნებში მდებელი ენო-
რიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობის გადრმავება, კოლექტიური
შრომის ჩვევებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცება.

სკოლეზე გაპროვინებულ სატყეო მეურნეობების უბნებში ტყის
დაცვის, მეჩხერიანობის ლიკვიდაციისა და ბრაკონიერობის წინააღ-
მდეგ ბრძოლის საქმეში აქტიური მონაწილეობა.

სკოლესა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში შეიქმნას სხვა-
დასხვა მცენარეთა სანერგეები, განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიე-
ქცეს საცდელ ნაკვირვებებზე უძველეს მცენარეთა გადაშენების გზაზე
დამღვარ სანერგეების შექმნას. (მაგ. ძელქვა, მუხა, კაკალი, უთხოვარ-
ი, ბზა და სხვ.) და ამ ნერგებით მომარაგდეს სკოლა.



სამკურნალო ნედლეულს, საკვები ბალახების, თესვებისა, სანერგე მეურნეობებისათვის საძირე მასალის შეგროვება, საფუტეებისა და ფუტკრების მოვლა-გამრავლება. თაფლოვან მცენარეთა გაშენება-გავრცელება. „ფრინველთა დღე“, ტყის კვირეული“ და „ბაღის ერთთვიური“-ს ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა, ფენოლოგიური დაკვირვებების აღრიცხვა და მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე და ნაყოფიერების ზრდაზე საცდელი მუშაობის ჩატარება, ხანძარსა-წინააღმდეგო ტექნიკისა და მისი ხმარების წესების შესწავლა.

თევზჭერის სამმართველოსათვის, საგზური მეურნეობისათვის თევზის დაცვის საქმეში დახმარების გაწევა, გუბურებიდან ლიფსიტების დიდ წყალსატევებში გადაყვანა და სხვ. სასკოლო და საოჯახო პირობებში თევზების მოშენება და მომრავლება.

6. ბუნების ნორჩ დამცველა საზოგადოებებმა უნდა შეისწავლონ სათიბ-საძოვრების მცენარეები და მონაწილეობა მიიღონ მათ დაცვაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს მცენარეთა და ცხოველთა ენდემური სახეობების შესწავლასა და დაცვას.

მცენარეებიდან უძველესი ვაზის (ჩხავერი, ალადასტური, კაბისტონი), ხეხილის (ხეჭეჭური და სხვ.), მარცვლეულის (უძველესი ხორბლის მახას, კანდურის, ღომის-ღომის)ჯიშების გაცნობას და დაცვას.

7. საქართველოს ნაკრძალებში უნდა ჩაატარონ დაკვირვებები ცხოველების და მცენარეების ცხოვრების ნირზე და გააკეთონ სათანადო დასკვნები ბუნების დაცვის საკითხებზე.

ბუნების დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების წევრი ვალდებულია პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული ყოველგვარი დავალებები.

დანართი № 4

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური შეკრების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ბუნების ნორჩ დამცველთა XI რესპუბლიკური შეკრების
ჩატარების მიზანი და ამოცანები**

ბუნების დაცვის შემდგრძი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ღონისძიებათა თაობაზე შემდგომი ორგანიზების მიერ მიღებული დადგენილებები მნიშვნელოვან ამოცანებს სახევენ რესპუბლიკის უსკოლების პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე მშობლიური ბუნების დაცვისა და მოვლის საქმეში. ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოება მოწოდებულა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ საქმეში.

მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა გამოეუმუშაოთ იმის მტკიცე ჩვევები, რომ გარემომცველ ბუნებაში ბუნების დამოკიდებულებისადმი მიღებული ყოველგვარი გადაწყვეტილება შეასრულოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძობითა რა საზოგადოებრივ შრომით საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს იგი. ჩაუნერგვით მათ მშობლიური ბუნებისადმი სიყვარული, შეიგრძნონ და ღრმად ჩაწვდნენ ბუნების სილამაზეს შესძლონ სათუთად მოეპყრან ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, დაიცვან და შეისწავლონ მშობლიური ბუნება, რაციონალურად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები.

**ბუნების ნორჩ დამცველთა XI რესპუბლიკური შეკრების
ჩატარების ორგანიზაცია**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუ-



მისა და საქართველოს სსრ გზათა სამინისტროს ხელმძღვანელებმა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტთან არსებული ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოება 1977 წლის 7—8 და 9 ოქტომბერს ატარეს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრებას მიძღვნილ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდება ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლეში.

შეკრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბუნების ნორჩ დამცველთა პირველადი (სასკოლო) სარაიონო, საქალაქო ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებები, ან საზოგადოებებში შემავალი სასკოლო სატყეოები, ნორჩ ნატურალისტთა წრეები, ბუნების ნორჩ დამცველთა კლუბები, შრომისა და დასვენების ბანაკები, საზაფხულო ექსპედიციების და ლაშქრობების მონაწილეები.

შეკრებაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ ასევე იმ მოსწავლეებს, სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს. საბავშვო სახლებს, სკოლის გარეშე დაწესებულებებს, პიონერულ რგოლებს, რაზმებსა და რაზმულებს, პიონერთა ბანაკებს, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა ჩატარეს ბუნების დაცვის საქმეში.

შეკრებაში მონაწილეობის მიღების მსურველები ადგენენ განაცხადს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის სახელზე არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

განაცხადთან ერთად ბუნების ნორჩ დამცველთა შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად ვამოფენისათვის უნდა წარმოადგინონ ბუნების დაცვაში ჩატარებული მუშაობის ამსახველი ფოტოფირები, ფოტოალბომები, დიაგრამები, ცდა-დაკვირვებების შედეგები, ფენოლოგიური დაკვირვებები, სანერგის გეგმები, სქემები, ჰერბარიუმები, მწერთა კოლექციები და სხვ.

ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებებმა უნდა წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები მათი სექციებისა და საგუშაგოების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ დამოწმებული განათლების განყოფილების კომკავშირის რაიონული კომიტეტისა და აღმასკომის მიერ.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-11 რესპუბლიკური შეკრებაში მონაწილე მოსწავლეებმა, შეკრების დღეეგატებმა უნდა წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები თავიანთი სკოლისა და მათი მუშაობის შესახებ.



ხებ დამოწმებული დირექტორისა და ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ.

შეკრების გამოფენაში წარმოდგენილ ბავშვთა ნამუშევრების შეფასებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩატარებული პრაქტიკული მუშაობის შედეგებს.

ბუნების ნორმ დამცველთა სარაიონო, საქალაქო და საოლქო საბჭო, რომელიც ბუნების დაცვის საზოგადოების საბჭოსთან არსებობს, რესპუბლიკურ შეკრებამდე აწყობს ბუნების ნორმ დამცველთა სარაიონო, საქალაქო, იონალურ და საოლქო შეკრებებს. მოსწავლეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში საბჭოს მოწვევით მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეკრებაზე.

ბუნების დაცვის საკითხებზე ჩატარებული ღონისძიებები

ქალაქი, რაიონი, სკოლა, კლასი

№	სამუშაოს შინაარსი	განზომილების ერთეული	სახეობათა ჩამოთვლა
1	დარგულია დეკ. ხეები და ბუჩქები	ცალი	
2	დარგულია ხეხილი და კურკოვანი ბუჩქი	"	ვარდი, ქრიზანთემა; გლადიოლუსი მისხაკი
3	დარგულია ყვავილები	"	
4	მოწყობილია ვაზონები	"	
5	მომზადებულია და ხეებზე დამაგრებულია ხელოვნური ბუდე	მ2	
6	შეგროვილია სახალხო მეურნეობისათვის სასარგებლო ძვირფასი ხის ჯიშებისა და ბალახების თესლი	ცალი კვრ.	
7	დარგულია (დათესილია) ტყე	ჰექტ.	
8	დარგულია ქარსაფარი ნარგავები		
9	გამრავლებულია ვეგეტატურად და თესლით ყვავილოვანი მცენარეები	და ა. შ.	

დირექტორი—

პედაგოგი—

